№ 44 28 თებერვალი, ოთხშაბათი 1866—1879 28 თებერვალი, ოთხშაბათი № 44

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ.ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი სტრიქონით ახლიდან—1 კაპ., ასოთ-მთავრულით სტრიქონზე—6 კაპ., ბეჭდვის ცვლილებითი—5 კაპ., ბეჭდვითი—1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შემოკლებულ დახანებულ გამოგზავნილი სტატიები. Дაუბეჭდელი სტატიები ავტორსაკენ დაუბრუნდება.

ბიბლიოთეკა

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

პირველი თებერვლიდამ წლის დამლევამდინ 7 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ნაპოლი, 22 თებერვალს. სასამართლომ გადაწყვიტა სიკვდილით დასჯა პასსანანტესი, რომელმანც იტალიის კოროლის ბუმბერტის მოკვლა განიზრახა.

მადრიდი, 23 თებერვალს. ესპანიაში ახალი სამინისტრო შესდგა.

ვერსალი, 23 თებერვალს. თუმცა სამინისტრო წინააღმდეგი იყო იმისი, რომ 5 მაისის სამინისტრო (ბროჰლი, ფურტუ და სხვ.) სამართალში მიეცათ; მაგრამ ნაციონალურის პრების უმრავლესობამ, კომისიის წინადადებით, გადაწყვიტა, რომ ეს მინისტრები მიეცნენ პასუხის-გებაში.

პეტერბურღი, 25 თებერვალს. ბრაფი ლორის-მელიქოვი ტელეგრამმით იწერება, რომ ეიხვალდი და უცხო ქვეყნის ექიმები ამტკიცებენო, რომ ვეტლიანკაში გაჩენილი ჟამი ლევანტიდამ არის შემოსულიო, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვით, რა რიგად შემოსულა აქაო. ამ ჟამად აქ აღარაკინ აღარ არის ჟამით ავათა; მაგრამ ექიმები ჯერ კიდევ გაფრთხილებას გვირჩევენ.

„ახალს დროებაში“ იწერებიან ადრიანოპოლიდამ: ხალხი რუსის ჯარს მიჰყვება აქედამ. რეუფ-ფაშამ გამოაცხადა, ხონთქრისაგან მონიჭებული მაქვს უფლებაო, რომ ვინც უწესობას მოახდენს, დავხვრიტავო.

ოსმალეთის ხონთქარი ავათ არის.

ტაშკენტი, 24 თებერვალს. ღენ. კაუფმანმა გამოუცხადა ავღანის ელჩებს, რომ იმათ ელჩობას აღარა აქვს ძალა. ამის გამო ხსენებული ელჩები მიდიან კაბულში, სადაც იაკუბ-ხანი იმყოფება ახლა.

საქართველო

ჟუთაისის სატუსაღოს წესები

წლევანდელ „დროების“ მე-21 ნომერში და გუშინდელს გაზეთში დაბეჭდილი იყო შენიშნვები იმ სამწუხარო მდგომარეობაზედ, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად ჟუთაისის სატუსაღო.

ამ შენიშვნების დამწერი, რომელმანც კარგათ, ზედ-მიწევნით იცის ხსენებული სატუსაღოს მდგომარეობა და წესები, მოგვითხრობს, მთელმა ზამთარმა ისე გაიარაო, რომ ჟუთაისის სატუსაღოში ერთხელ არ ანთებულა ცეცხლიო; ფეხის-ადგილები ისე გაფუჭებულია, ისეთი საძაგელი სუნი გამოდის იქიდამო, რომ, არათუ ადამიანი, ღორიც ვერ მოითმენსო; თვეში ორჯერ უნდა ჰქონდეს ტუსაღებს აბანო და გლეხებს საპონი უნდა ეძლეოდესო, აქ თვეში ერთხელაც არ მიჰყავთ და საპონის ხსენებას ვინ გაჰბედავსო; ღღიურ საზრდოთ გლეხ-ტუსაღებს ეძლევათ თერთმეტი კაპეიკიო და თუმცა ამ სიძვირეში ეს მხოლოთ იმდენი ფულია, რომ კაცი შიმშილით არ მოკვდეს, მაგრამ აქაც კი ეკონომიას ახერხებს, ტუსაღების ხარჯის გამგებელი და სად მიდის ეს ეკონომია, კაცმა არ იცისო.

ყველა ეს მოხსენებული იყო „დროების“ მე-21 ნომერში.

ამ შენიშნვის დაბეჭდვის შემდეგ,

ფელეტონი

ახალციხური ფელეტონი

(დასასრული *)

სომხებმა ჩვენი დავით მეფე ალმაშენებლის დროს კი ცოტა ჭკუა მოიტანეს, როცა გაუჭირდათ და თავს ველარაფრით უშველეს:

ამ დროს პარსთ ტაფარ მეფე რომ კვდებოდა, დაადახვინა თავის ბუარ დედოფალი და მტარვალთ თავის თვალწინ დააკვლევინა; რადგან იმისგან თვითონ შვილი არ შესძენოდა და არ აეყვანა იმის ძმას და არ გამეფებულიყო ძმის მაგიერ, არამედ თავის პირველი დედოფლითგან ნაყოლ შვილებს დარჩენოდათ მემკვიდრეობა და ეგრედაც ჰქმნა: პირველ შვილს მაჰმუდს უანდერძა პარსეთი და მეორეს მელიქს ალმოსავლეთის მხარე და მოკვდა ტაფარი.

1099 წელს რომ აიღეს ფრანგებმა აგარიანებისაგან იერუსალიმი ქოფრედდო პოლლიონის მოთავობითი, მას მერმედ აგარიანნი მალ-მალ ეცემოდნენ პალესტინის სახლობაზედ და აოხრებდნენ. მათ შორის ალმოჩნდა ესე მელიქი ბოროტ მეშურნე; შეჰკრიბა დიდ ძალი სამხედრო უჩინა მთავარ-სარდლად ზაზი თუ ელხაზი და გააგზავნა პალესტინზედ ლათინების სავნოდ. შევიდა ელხაზი საზღვრის ნაპირებს, მოსწვა, მოაოხრა აიღო დიდი ტყვე და მათთან მათი მთავარიცა შეპყრობილი მოიყვანა და მოვიდა ხარბურდს (1120 წ.)

მეორე წელს შევიდა საქართველოშიაც, შემოება ამას ძლიერად ბაგრატ მეფის ძის ბიორგის ძე დავით მეფე მაშენებელი, ამოუწყვიტა სრულიად მახვილითა ჯარი და მცირედით ძლივ გარდაიხვეწა ელხაზი და მივიდა მეოტი მელიქთანა.

განრისხდა დიდად მელიქი და შემოჰკრიბნა სპარსთა, არაბთა და სკვითთაგან 40,000 ქვეითი და 20,000 ცხენოსანი, შემოესია დიდის წყრომით თფილისის მახლობლად დიდ-ბორის მიდამოს და ექადოდა სრულიად აწყვეტასა საქართველოს, თუ არ დაჰმორჩილებოდა. მეფემ შემოიკრიბა მცირედი მხედრობა, რაც ხელად მოეძებოდა. შეება და ვითარცა ლომი ეგრედ ჰფანტავდა კანჯართა. 20,000-ზედ მეტი ამოწყვიტა, დანაშთი ტყვე ჰყო და 20,000 ძლივ განესია მის ძლიერ კლავსა.

1122 წელს კვალად ესევე მელიქი სამოცი ათასით შემოიპარა უგრძნობელად, ასდვა ხიდი მტკვარზედ და დაესხა თავს დავითსა. შემოება ანაზდად დავითი ხელად ხლებული მცირედი მხედრობითა და ეგრედ ამოწყვიტა პარსნი, რომ მელიქმა თავ კაცად გარდახვეწით თავი ძლივ მოირჩინა ოლკანის ქალაქში.

ამის შემდეგ განძლიერდა დავით მე-

*) „დროება“, № 43.

როგორც შევიტყვეთ, სატუსაღოში მიუყვანიათ კალატოზები და ფეჩები გაუკეთებინებიათ. (როცა სითბო დადგა და ცეცხლი აღარ დაინთება!) ამას გარდა დღიური საზრდო მიუმატებიათ გლეხტუსაღებისათვის: თერთმეტი კაპეიკის მაგივრად, თითოეულ არესტანტისათვის სარჩოდ დაუნიშნავთ დღეში ჩვიდმეტი კაპეიკი. აზნაურებს კი თითო ტუსაღს დღეში აბაზი ეძლევათ ხარჯის ფულად.

ასი ტუსაღისთვის ოც-და-ხუთი გირვანქა ძროხის თავის ხორცი ეგზავნება თურმე დღეში სატუსაღოს ზედამხედველს; მაშ სადამე თითო კაცზე მეოთხედი გირვანქა ხორცი მოდის, ისიც ძროხის თავისა, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, ხორცი თითქმის სრულიად არ აკრავს!..

ყველაზედ უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ამ ამბავში ის არის, რომ ადრე არესტანტებს დღეში თითოს თერთმეტი კაპეიკი ეძლეოდათ საზრდოთ, ამ თერთმეტი კაპეიკიდამ რჩებოდა კიდევ ეკონომია ხლა ჩვიდმეტი კაპეიკი! თუ თერთმეტი კაპეკი თავს-გადაიოდა ტუსაღს თუ აქედამ ეკონომია რჩებოდა და ეს გარდამეტებული ფული ხაზინაში შეჰქონდათ, ერთი მიზეზით — ხაზინა რაღათ მოუმატებდა კიდევ ექვს კაპეიკს და რად გაუხდიდა არესტანტს დღიურ საზრდოთ ჩვიდმეტ კაპეიკს?

ცხადია აქედამ, რომ ის ეკონომია ხაზინაში არ შედიოდა და ხაზინამ არ იცოდა, რომ თერთმეტი კაპეიკი ერთობ მომეტებული ხარჯი იყო ტუსაღისათვის; ცხადია მაშასადამე, რომ ეკონომია სხვის ვისმეს ჯიბეში რჩებოდა... ამ სიძვირეში ტუსაღს დღეში თერთმეტი კაპეიკი ეძლეოდეს, და იქიდამაც კიდევ გამორჩეს ვინმე,— რა უსინიდისო, რა უღმერთო უნდა იყოს ამისთანა კაცი!

კანონიდა მთავრობა დამნაშავეს დატუსაღებით სჯის და არა შიმშილითა. მთელს რუსეთში ლაპარაკია ახლა იმაზედ, რომ სატუსაღოებისა და ტუსაღების მდგომარეობა გააუმჯობესონ, სუფთად შ[illegible]ნახონ. საკმ[illegible] ჭ[illegible]მონ და ასვან და სხვ. და სხვ.

დამნაშავისათვის ისიც დიდი სასჯელია, როდესაც ის დატუსაღებულია ერთს ოთახში, თავის ცოლ-შვილს, ნაცნობ-მეგობრებს მოშორებული, როდესაც ის ზნეობითად იტანჯება და სხვ. თქვენ ამას არ აკმარებთ: ნელ-ნელა, შიმშილითა ჰკლავთ! შიმშილით მოკვლაა, მა რაა, როდესაც თითო ტუსაღს დღეში საზრდოთ მეოთხედი გირვანქა ძროხის თავი ეძლევა! თქვენ კიდეც სიცივით აცახცახებთ, სიმყრალითა და ჭუჭყით უფუჭებთ ჯანმთელობას, უმოკლებთ სიცოცხლეს!..

ქუთაისში არის „სატუსაღოს კომიტეტი (Тюремный комитетъ), ქუთაისში არის უმაღლესი მთავრობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ამ კომიტეტმა და არც უფ. ღუბერნატორმა არ იციან თავის საპყრობილოს მდგომარეობა.

ვინუგეშოთ იმ აზრით, რომ ახლა მაინც, როდესაც შეიტყობენ, თუ რა ხდება იმათ თვალწინ, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ იქაური სატუსაღოს ამისთანა მდგომარეობას...

ს. მ.

დღიური

*** ჩვენ მოგვივიდა გუშინ პეტერბურღიდამ შემდეგი ტელეგრამმა:

„გუშინ, 25 თებერვალს, აქ, პეტერბურღში, ხუდოჟნიკების კლუბში იყო ქართული წარმოდგენა, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წარმოადგინეს „მზის დაბნელება.“

მაჩაბელი.

*** გუშინწინ, კვირას, 25 თებერვალს მისი იმპერატორებითი უმაღლესობა კავკასიის ნამესტნიკი დაბრუნდა პეტერბურღიდამ თფილისში და უკვე დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება.

*** ქალაქში მოვიდა ტელეგრამმა, რომ 26 თებერვალს საფრანგეთში გარდაცვლილა ადრინდელი მთავარ-მმართებელი კავკასიისა ფელდმარშალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიათინსკი.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ უმართებულესს სენატს შეუწყნარებია დ. ჩქოტუას დამცველის უფ. სპასოვიჩის თხოვნა, დაურღვევია თფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება და გარდაუწყვეტია ამ საქმის გადატანა სხვა ქალაქის სასამართლოში.

*** სამი კვირის შეჩერების შემდეგ, გუშინ, სამშაბათს, „თფილისის მოამბე“ დაიწყო ხელ-ახლად გამოსვლა.

„ობზორი“ კი ჯერ კიდევ არ გამოდის; ამბობენ, ეს გაზეთი აღარც გამოვა თფილისშიო, პეტერბურღში აპირებს უფ. ნიკოლაძე თავის „ობზორის“ გადატანასაო. ამაზე უკეთესს ის არას იქს.. ჩვენს რჩევას უქმად არ ჩაუვლია იმისათვის...

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტრაპიზონის ოსმან-ფაშა (აჭარელი), რომელიც, როგორც ჩვენს გაზეთში იწერებოდნენ,

---

ფე მაშენებელი და დაიჭირა ქალაქები თავის წინაპარ ქართველ მეფეთანი წარტაცებული პარსთაგან; მრავალნი ადგილნიცა: გუგართა უტიელთა, რომელზედაც უფლობდნენ ალვანთ მეფენი, გაგი-ციხე, ტერუნაკანი. ტავაში, კაიანი, კაიწონი, ლორი, ტაშირი და მაჰკანაბერდი.

ამის გამო მიჰმართეს საზღვარს გარე მყოფ სომეხთა დავით მეფე გმირსა, რადგან დიდად მიაჩნდათ და მაინც მიიღო დიდის კაცთ-მოყვარებით; აუგო ქ. გორი დაასახლა მუნ და გაუჩინა ეკკლესიანი და მონასტრები! ამ დროს მძლავრობდნენ შირაკს და ანზედ სკივთები, მეტადრე მანუჩარისძე ემირი აპულასე; შეერთდნენ მკვიდრნი და მოიყვანეს დავითი, რომელმანც აიღო ანი მისი მიდამოებითა და დასაჯა ემირი, გასწმიდა ეკკლესია, ამართა გუმბათზედ ბრწყინვალე ჯვარი და მიანდო ანი აბულელ თავად და მის ძეს იოანეს, მოიქცა ესრედ გამარჯვებული და შეისვენა იმავ წელსა უფლის მიერ მშვიდობით (1125 წ).

აი აქ ცხადად აღმოჩნდა, რომ, თუ დავით აღმაშენებელს არ მიესუსტებინა მელიქი და არ გაეტეხა თვალი, უეჭველია, იმ ძალას პალესტინზედ მოიხმარებდა მეორე გალაშკრებისა და 40 წლით წინ მოუსპობდა, ფრანგებს მფლობელობას პალესტინზედ. ასე უნდა აგვიღოთ ყოველი დრო..

უფრო დიდი ჭაპანწყვეტა და გაჭირვება მოგვადგა ჩვენ ჯალალ-ედინისაგან ჯერ, შემდგომ ჯინგისხნისაგან. მაგრამ ყოველს ავ-კარგს შემთხვევაში, ჭირში თუ ლხინში, გამარჯვებაში თუ სიმარცხეში უძრავ კლდესავით შეურყევლად ვიყავით იქამდის, რომ მრთელი ასია აღმოსავლეთითგან დასავლეთამდის ჩვენს გაკვირვებაში იყო, ყოველ გვარის ქრისტიანეთა და არა-ქრისტიანეთა სულ ჩვენკენ ჰქონდათ ყოველი თავიანთ ყურადღება მოქცეული, სულ ჩვენს სჯასა და არჩევანში იყვნენ, სულ ჩვენი მშვენიერ ვაჟ-კაცების ქებაში და დიდებაში იყვნენ; იმათი ლხინი, ნადიმი და შექცევა ჩვენის სახელის სახსენებელით იწყობოდა, იმათი შვება და სიამოვნება უჩვენოდ არ იყო შეზავებული; ჩვენი სიმხნე, წყობა, ღმობიერება და სიმართლე ყოველთ სამაგალითოდ განთქმული იყო!

აი რასა სწერს მ. ჩამჩიანი (1220 წ.):

„ჯინგისხანი რომ სდევნიდა ჯალალდინს, სამ დიდებული მოსცილდა 20,000 კაცითა, უეცად შემოესივნენ ქართლკახეთსა, დაუწყეს ოხრება უწყალოდ, ასწყვიტეს მრავალი სული, ცხვარი, ზროხა და ძაღლიცა გარდა ცხენებისა, რადგან ის იყო იმათი საჭმელი, და დაიზამთრეს იმ წელს ბარდავისკენ. მეორე წელსაც რომ შემოესივნენ საქართველოს, დაუხვდათ ხუნანს ლაშა გიორგი მეფე იოანე ათაბაგითა. ესენი ეწყვნენ ამათ ძლიერად, პირველშივე აჯობეს ქართველთა, ასწყვიტეს მრავალნი და გააქციეს; დაედევნენ ქართველნი, სადაც იყო მეფეცა, მიიტყვილიეს იწრო გასავალში და წინათვე ბუსუნში ჩამდგართ შემოუტიეს და უკუ-აქციეს ქართველნი მარცხენით, ხოლო მარჯვენით მისჯარა ვარამმან და უარესად პირველისა დაამარცხა, ეგრედ რომ ველარსად მოიგდეს ფეხი და გარდაცვინდნენ დარბანდისაკენ; იქაც რომ ვერ სად გაიტანეს გზა, რამდენიმე თვის მერმე მიადგნენ კავკაზის მხარედ, გარდავლეს კლდეები, შევიდნენ ყივჩაყეთში, ასწყვიტეს იქაც მრავალნი და გარდიხვეწნენ სხვა მხარეს (1227 წ.).

„ამათი მიზეზით გარდმოცვინდნენ ჰონები საქართველოს და სთხოვეს ლაშა გიორგი მეფეს, მიეღო თავის ქვევრდომად; გარნა მან არ ინება; მივიდნენ და

აჭარაში გზავნიდა კაცებს და ჰრეოდა, ხალხ, ურჩევდა ოსმალეთში გადასახლებას, ეს ოსმან-ფაშა გამოუცველითოთ და ამის გამო, ამბობენ, ახლა ყოველი მოძრაობა აჭარისაკენ იმედია მოისპობაო.

*** ჩვენ მივიღეთ ჭუთაისიდამ შემდეგი ამბავი, რომელზედაც იმედი გვაქვს, უმაღლესი მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს:

„ფოთი-თფილისის რკინის გზით ეტაპს მოჰყვდა რამოდენიმე ტყვეთ რომელ რიცხვში ერთმა გურულათ ჩაცმულმა და გურულის კილოთი მოლაპარაკე კაცმა ჩემი ყურადღება მიიქცია. ფეხებში ეყარა რკინის ბორკილი. მე ვიფიქრე, რომ ეს კაცი, უსათუოთ, აჭარლების ამჯანყებელი უნდა იყოს-მეთქი. ვჰკითხე ვინ ხარ და მიზეზი მისი დაჭერისა. საწყალმა ნაღვლიანათ ამოიოხრა და დაიწყო ამ ნაირათ:

„—მე ვარ ქობულეთელი კაცი, ურუშუმ ჭყონია. მამა ჩემი, მემედ-ალი ჭყონია, უწინ ბურიაში მცხოვრები და რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომი ყოფილა. ერთხელ (ეს დიდი ხნის ამბაია) მამა ჩემი წასულა ქობულეთში თავის ბიძასთან, მემედ-ფაშასთან, გამოუცხადებია იმისთვის სულთანის ქვეშევრდომობა და ერთგულობა. მემედ-ფაშას მოსწონებია მამიჩემის სურვილი და სულთანთან კარგათ წარედგინა. სულთანს კარგათ მიეღო და საუკუნო პენცია (ოც და ოთხი ქესა-600 მანეთი) დაენიშნა.

„დასახლებულა მამაჩემი ქობულეთში, შეურთავს ცოლი, რომლის შემდეგ ვეყოლეთ ხუთი ვაჟი. სანამ ცოცხალი იყო მამაჩემი, ეს პენცია ეძლეოდა; შემდეგ სიკვდილისა, მოუკლებლად მე ვიღებდი.

„შარშანწინ რო რუსეთსა და ოსმალეთ შუა ომი დაიწყო, იმ დროს მე მებარა ას ორმოც და ათი დაიარაღებული ქობულეთელი ცხენოსანი კაცი რუსის ჯარის საწინაღდმდეგოთ. საიდღამაც ღენერალ ოკლობჟიოს ჩემი გარემოება გაეგო და დაენახა ჩემში სასარგებლო კაცი, თუ მე რუსის ჯარში გადმოვიდოდი და ამით სულთანს ვუღალატებდი. მართლაც, ღენერალ ოკლობჟის რჩევით რომელმაც დიდს დაჯილდოებას შემპირდა, ას ორმოც და ათი დაიარაღებული ჩემ ხელ ქვეით კაცებით გადმოვედი რუსის ჯარში და განვაცხადე ერთგულება და, შეძლებისა გვარად, სამხედრო სამსახური. ოთრებმა რო ჩემი ღალატობა შეიტყვეს, დამიწვეს ძვირფასი სახლ-კარი დაიპირეს ჩემი ცოლი, ოთხი პატარა ბაღნები (სამი ქალი და ერთი ვაჟი), ჩემი რძალი ოთხივე მისი ბაღნებით და ტრაპიზონის სატუსაღოში დაატყვევეს. საცოდავები (აქ ცრემლები გადმოჰყარა ქობულეთელმა), ერთიც არ გადარჩენილა, სუყველა დახოცილან. ტყვეობას, როგორც იქნ, გადავარჩინე მოხუცებული ჩემი დედა თერთმეტი წლის ჩემი ვაჟი და უმცროსი ოთხი ჩემი ძმა.

„ოსმიანობა გათავდა. მე დავრჩი უცოლ-შვილოთ და უსახლ-კაროთ. ამ სულიერათ ტანჯვის ბოლო მოსაღებათ, ეხლა ხორციელათაც ვიტანჯები. ხომ ხედავ, ძმაო, რომ რკანის ბორკილები ფეხებში მიყრია და მივყევარ ჭუთაისის ნაობახში.“

„ამ ნაირათ მელაპარაკა ეს ქობულეთელი კაცი. მე კიდევ ვერ შევიტყვე დაჭერის მიზეზი და ვჰკითხე.

„—არც მე ვიცი, რაზე დამიჭირეს, მითხრა ქობულეთელმა; მე მეგონა ამდენ ნაზარალებ კაცს დამაჯილდოებდენ-

---

შეეწყნარნენ განძელთა; ამისთვის აუტეხა ამათ ომი იოანე ათაბაგმან. მაგრამ გაემარჯვათ ჰონებსა და აიღეს მრავალი ტყვე-დაელა ქრისტიანეთაგან (1224 წ.).

„ხელ-მეორედ შეება იოანნე ათაბაგი; აწყვიტა უმრავლესნი, აიღო დიდი ტყვედავლა, დაიხსნა მრთელი ქრისტიანები და შემობრუნდა დიდად გამარჯვებული.

„1227 წელს გამოვარდნილი ჯალალ-დინი შემოვიდა სასომხეთოდ, მიეგება იოანე ათაბაგი მცირედი ლაშქრითა, ამასთან ახლდა მხნე უსწორო და დიდად დახელოვნებულნი ომში ძმანი იოანე და შალვა; ამათ ურჩიეს ათაბაგს, ჯერ ჩვენ შევებმით მტერს მცირედით და შემდგომ შენ სიმრავლით გვეწიე და სულ ადვილად დავამარცხებთ მტერსაო. მიეტევნენ ორნივე ძმანი მტერსა გმირულად და შეუყენეს საშინელი ანალეწი.. შეჰშურდა იოანე ათაბაგს მათი სიმხნე-სიქველე. ბოროტ შურისგან აღგზნილმან, მათის მოსპობისათვის ირჩია დამარცხება მრთელ ქართლის განთქმულ ძალთა და კიდევაც დამარცხდნენ და აუოხრდათ მეტად თფილისი და მიდამოს ქალაქ-დაბები მეტის-მეტად! ამას შეუდგა ჯინგისხანის ძე უხანთა; ამან რა ქართლ-ქახეთის საზღვრები დაიპირა (1237 წ.), წინაწინ დაზვერვით შემოსტეხეს ქახეთი და ქართლი; ომით რომ ვეღარ გაუვიდნენ, მიჰრიდეს სიმაგრეებში და მიატოეს საქართველო სასომხეთოსავით საოხრებელად, ამოსაწყვეტად და მოსაწველად 4 წელს.

ბოლოს ვიც-ღა სიმონ მღვდელ-მონაზონმან იშუამავლა თავის გაცნობილ უხათა ხელმწიფესთან და მაშინ განთავისუფლდა ქართლ-სომხეთი ყოველი ოხრება-აკლებისაგან. იწყეს ყოველთ თავის ნებისად ღვთის სამსახური: გაიღნენ ეკკლესიები და სრულდებოდნენ ყოველგან ლოცვა-წირვები დაუბრკოლებლად. ამის მხილველნი მრავალნი თათარნი ინათლებოდნენ ქრისტიანად!

თემურ-ლანგმა ხომ ბოლო დაგვაქნა: 1387 წ. რა მრთელი ასიის დიდი წილი დაიჭირა, შემოსდგა ფეხი ჩვენს საქართველოშიაც. თუმც მხნედ დაუდგა კარგა ხანს ბაგრატ მეფე ძლიერის ომითა, მაგრამ ვერ მოუვიდნენ თავსა: ერთს ქართველს ათასი ეხეოდა და ათასა ათი-ათასი! უკანასკნელ მირიდეს სიმაგრეებში და მისცეს თფილისი და ქართლის ქალაქ-დაბები ხელთ; მრავალნი მოსწყვიტეს ხმლითა და დანაშთიც ტყვე ჰყვეს.

თუმც მძლავრი იყო ლანგ-თემური, მაგრამ ვინც ნებით დაემორჩილებოდნენ, მიიღებდა გულ-ლმობიერად. ამის დამეთქი და აი ჩემი ჯილდო (ფეხი გაიქნევა და გაარაჩხუნა რკინის ბორკილი). რაღაც ჭუთაისის ოკრუგ-სუდი ტყვეს გაყიდვას მწამებს, რომელიც ომის გამოცხადებამდის, რამდენიმე წლის წინეთ ვითომც ჩამედინოს.“

„მე ვანუგეშე, რაც შეიძლებოდა, რომ მალე გაგიშვებენ, ფიქრი ნუ გაქვს-მეთქი. ქობულეთელმა კიდევ ამოოხრა და თქვა

„—დაჭერას კი არა ვჩივი, რა უყოთ, იმისთანაები დაჭერილან, რომ ჩემისთანა კაცი მოსამსახურის მოსამსახურეთ ჰყოლებიათ. მე მტანჯავს სირცხვილი, რომ ასე დამემართა. ცოლი გამიწყდა და შვილი, სახლი და კარი დამეწვა, რძალი და ძმისწულებიც სულ გამიწყდა, დამეხოცა. ეხლა რომ კიდეც გამიშვან, სად უნდა წავიდე? მარტო სირცხვილით თავი სად გამოვყო? შენს არ მომიგებენ ქობულეთლები და უფრო ოსმალეთის თათრებიც, როცა ამ ამბავს გაიგებენ?“

„ძიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ეტაპმა აღარ აცალა: ჭუთაისის ნაობახში წაიყვანეს.“

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანი

ერთს ინგლისურს გაზეთში მოყვანილია ტაშკენტიდამ 16 თებერვალს მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერება:

„მე ველაპარაკე დღეს იაკუბ-ხანის მთავარ-ვეზირს; იმან მითხრა, სხვათა შორის. რომ ემირი იმ გზას დაადგება, რომელსაც რუსეთი ურჩევსო. თუ რუსეთმა ურჩია იაკუბ-ხანს ინგლისთან მორიგება, უეჭველად მოვრიგდებითო სამტკიცებლად ხმარობდა სამ ფერ კარავსა: მოწყალების ნიშნად თეთრ კარავს დასდგამდა, სისხლისა წითელსა და ერთიან ამოწვისა შავ კარავს! მით მიენდო ბაგრატ მეფეც და 'მეეწყნარა. მერმე 15,000 თათარი წაართვა საქართველოს დასამონებლად,მოიყვანა მარჯვე ადგილს, მოიპირია შვილები: დავითი, კოსტანტინე და ბიორგი ჯარითა და ერთიან ააწყვეტინა ის თათრები და განთავისუფლა საქართველო.

შემდგომ რომ უფრო გაავრცელა ლანგ-თემურმა თავის სახელმწიფო ინდოეთს, მოუბრუნდა ისევ მცირე ასიას, შემოვიდა ხელ-ახლავ საქართველოშიც ბაგრატ მეფის ძის ბიორგისაგან შურის საძიებლად. მიერიდა წინადვე ბიორგი სიმაგრეში; მაგრამ გასცეს მოღალატეთ და ასწავლეს ციხე. რა უნდა აეღო ომითა? ბამოიჭრა ბიორგი მეფე თავისთან ხლებული ასიოდე თავად-აზნაურებითა, გააპეს ის დიდი მტრის ურდო და წავიდნენ უვნებელად!

აი ამგვარად დაგვიცვია ჩვენი ქვეყანა და სხვანიცა; მაგრამ კი აღარავის ვახსოვართ...

ვინმე მესხი

ახალციხე, 4 თებერვალს

და თუ არა. მაშინ ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას და იმედიც გვაქვსო, რომ, ადრე თუ გვიან, გამარჯვებული მაინც კიდევ ჩვენ დავრჩებითო.“

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, იაკუბ-ხანმა მორიგება სთხოვა ინგლისსაო. მაშასადამე აქედამ სჩანს, რომ რუსეთს ურჩევია ავღანისათვის ინგლისთან მორიგება.

ოსმალეთი

ნემეცურს გაზეთს „პრესში“ იწერებიან სტამბოლიდამ, რომ სულთანს, სამხედრო სასამართლოს განჩინების თანახმად, უბრძანებია, რომ სულეიმან-ფაშას ჩამოხადონ ყოველი ღირსება, ჩინები და ორდენები; მაგრამ, ოსმალეთიდამ სამუდამოთ განდევნის მაგივრად, მხოლოთ ექვსი წლით ბაღდადში გაგზავნა უბრძანებია.

ბოლგარია

ტირნოვოდამ იწერებიან, რომ იქ შეკრებილს ბოლგარიის ხალხის წარმომადგენლებს გარდაუწყვეტიათ, გაგზავნონ ევროპის ყველა უმთავრეს სახელმწიფოებთან დეპუტაცია და სთხოვონ იმათ, რომ აღმოსავლეთი რუმელია (სამხრეთი ბოლგარია) შეუერთონ განთავისუფლებულ ბოლგარიის სამთავროს.

საფრანგეთი

მოგეხსენებათ, რომ გაზეთის „ლანტერნის“ (ფანარის) პროცესმა გამოააშკარავა ბევრი ბოროტ-მოქმედება პარიჟის პოლიციისა. ამის გამო პარიჟის პოლიციის პრეფექტი (უფროსი) ალბერ-უიგო იძულებული შექმნილა, რომ სამსახურიდამ გამოსულიყო; იმის მაგივრად, როგორც იწერებიან, მთავრობას დაუნიშნავს ჟვემო-შარანტის პრეფექტი უფრენი.

განცხადებანი

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

სომეხთ ნერსესის სემინარიის პოპეჩიტლების სოვეტში, მომავალს მარტის 14 საღამოს, 7 საათზედ, არის დანიშნული ტორგი უპერეტორშკოთ იჯარით მისაცემათ, თელეთის წმინდის გიორგის ეზოში, ერთი დუქნისა თავისის ერთის ოთახით.

მსურველს ალებისა იმ დუქნისა შეუძლიან წაკითხვა პ ი რ ო ბ ი ს ა (кондиція) იმავე სემენარიის კანცელარიაში ყოველ დღე კვირისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდგან ვიდრე 12 საათამდისინ. (3—3)

ქუთაისში

კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для грузинъ) —შედგენილი გ. ქ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი მული და მაშენიკები—კომ. თუთაივისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები—20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 |

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვეშ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი . . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	6
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3		1	69
ყვირილა . .	1	18	ღამე.		3	96	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 27 თებერვ.		
ფქვ. თეთ. ბანჯრხა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	40
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	70
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	70
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, გროც. ფუთი .	7	45
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ . .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	20
თამბაქო, საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარ ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 27 Февраля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.